INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ვებ-გვერდის (www.dea.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 03 იანვარი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
www.dea.gov.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
55.56%
49.60%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0.00%
0.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80.00%
25.38%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
34.78%
14.75%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
15.00%
19.67%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15.38%
19.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40.00%
18.50%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
50.00%
100.00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ მოიძება სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება თავმჯდომარის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება, სათაურად „სააგენტოს თავმჯდომარე“, სადაც განთავსდება თავმჯდომარის შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

**2.** სააგენტოს სრული დასახელება არის - „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო“, ხოლო ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს მხოლოდ შემოკლებული დასახელება - „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“:

**3.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**4.** ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

**5.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**6.** სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად, სააგენტოს, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ბეჭდებზე, ბლანკებზე, სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივ მოწმობაზე და ოფიციალურ დოკუმენტებზე გამოყენებული სააგენტოს დასახელება დასაწყისში უნდა მოიცავდეს მითითებას „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო“, მართალია მოცემული მოთხოვნა არ ეხება უშუალოდ სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდს, თუმცა სასურველია ზემოთ ხსენებულის ანალოგიურად ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  დასახელება:

**7.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ მოცემულია ძალზედ მწირი ინფორმაცია სააგენტოს ისტორიის შესახებ, კერძოდ, აღნიშნული ინფორმაცია შემოიფარგლება ერთადერთი წინადადებით:



ჩვენს შესახებ

იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან ფუნქციონირებს.

სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:
· ელექტრონული მმართველობა;
· მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;
· ინფორმაციული უსაფრთხოება.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „სააგენტოს ისტორია“, სადაც განთავსდება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

**8.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ”  მოცემულია სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:

ჩვენს შესახებ

იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან ფუნქციონირებს.

სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:
· ელექტრონული მმართველობა;
· მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;
· ინფორმაციული უსაფრთხოება.

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციებისა დეტალური აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**9.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურის სქემატური აღწერა (სტრუქტურული ხე);
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „სააგენტოს სტრუქტურა“, სადაც განთავსდება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**10.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, გეგმები და პროგნოზები, სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე, მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას, პროგრამები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის სააგენტოს მიერ შემუშავებული სააგენტოს ბიუჯეტისა და ხარჯთა ნუსხის პროექტი, ფინანსური სამსახურის მიერ მომზადებული კრებსითი ბალანსები, ანგარიშები) *და ა.შ.*

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს ფინანსური სამსახურის მიერ შედგენილი კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკურ ანგარიშები, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმა და აგრეთვე, ცალკეული შესასყიდი ობიექტის წლიური ღირებულებიდან გამომდინარე შესყიდვის წესი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**11.** შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს სააგენტოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები; ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლების არქივი“ განთავსებულია მხოლოდ ორი საინფორმაციო ხასიათის განცხადება:




ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.

ამასთან, მართალია ვებ-გვერდზე არსებობს სააგენტოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვების საძიებო სისტემა, წლებისა და თვეების ფილტრაციის მიხედვით, თუმცა ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე (ინფორმაციული შიგთავსის სიმწირის თვალსაზრისის გამო) ბუნდოვანია თუ რა ფუნქციას ატარებს აღნიშნული საძიებო სისტემა:

**12.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“ სადაც განთავსდებოდა სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული საქმიანობის წლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები;

**13.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოსსაქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

**14.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

**15.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პროექტები“ განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები:

ამასთან, ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, მართალია ვებ-გვერდზე არსებობს სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების საძიებო სისტემა, წლებისა და თვეების ფილტრაციის მიხედვით, თუმცა ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე (ინფორმაციული შიგთავსის სიმწირის თვალსაზრისის გამო) ბუნდოვანია თუ რა ფუნქციას ატარებს აღნიშნული საძიებო სისტემა:

**16.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**17.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საკანონმდებლო ბაზა“ განთავსებულია სამართლებრივი აქტების ძალზედ მწირი რაოდენობა:

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სააგენტოს უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებები (მათ შორის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სააგენტოს შინაგანაწესი და სამუშაო ადგილების აღწერილობა, სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივი მოწმობის ფორმა, სააგენტოს საშტატო განრიგი, თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, სახელფასო ფონდი, სააგენტოს ბეჭედი, შტამპების სტანდარტულ ნიმუშები და კოდურ აღნიშვნები, სააგენტოს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი, აგრეთვე, სააგენტოს სამმართველოების დებულებები). აგრეთვე, სააგენტოს მიერ შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები და იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სააგენტოს დებულება და შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**18.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**19.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**20.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**21.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (არ იქნა მითითებული თანხები), რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/mgacvla_shesyidvebi.pdf

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის, პირველი კვარტლის (სამი თვე) სახელმწიფო შესყიდვების და ტენდერები შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/saxemwifo_sheskidvebi.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**22.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ვაკანსიები“ სასურველია განთავსდეს აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ:*



ვაკანსიები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:

**- სისტემური ადმინისტრატორი** - განაცხადის მიღების ვადა: 27 ოქტომბერი, 2011

**- კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის (CERT) სპეციალისტი** - განაცხადის მიღების ვადა: 21 ოქტომბერი, 2011

**- თარჯიმან-ადმინისტრაციული ასისტენტი** – განაცხადის მიღების ვადა: 23 სექტემბერი, 2011.

**- კონკურსი ინფორმაციულ და კიბერ უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებული ნახატების შექმნაზე**
- განაცხადის მიღების ვადა: 15 სექტემბერი, 2011.

**- ინფორმაციული სისტემებისა (IT) და ბიზნეს პროცესების ანალიტიკოსი** - განაცხადის მიღების ვადა: 10 სექტემბერი, 2011.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**23.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011*

*წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/mgacvla_biujeti.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიეული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/mgacvla_xelfasi.pdf

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალის (სამი თვე) სახელფასო ფონდებისა და პრემიების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას.*

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
66.67%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46.67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
55.00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0.00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41.67%
0
0.2
0.4
0.6
0.8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკის კატეგორიების იერარქია და ნავიგაციის კატეგორიების იერარქია არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად:




იერარქია რუკაში და ნავიგაციაში სასურველია, რომ იყოს აბსოლიტურად იდენტური;

ვებ-გვერდის ბანერები არ ფუნქციონირებს როგორც ბმულები:



მათზე დაჭერით ვებ-გვერდს არ გადავყავართ შესაბამის კატეგორიაში;

- **ძიება**

ძიების მოდულს არ აქვს ქართული ფონტის (უნიკოდის) მხადაჭერა რაც ართულებს საძიებო მოდულის გამოყენებას რის გამოც ჩანს გაურკვეველი სიმბოლოები:




ძიების მოდულს აქვს სხვა ხარვეზიც. ძიების განხორციელების შედეგად, გამოტანილ ტექსტში დარღვეულია უნიკოდი:



**4 Records_Found | search - მინისტრი**

1) ელექტრონული მმართველობის შესახებ ... ფო სტრუქტურების ად**მინისტრი**რების და მათი ფუნქციების განხორციელების ეფექტური და თანამედროვე ფორმა, რაც მოიცავს: სახელმწიფოსა და მოქალაქეს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ელექტრონულ ფორმებს. დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფო უწყება უკვე ... >>>

1) კონფერენცია GIonI 2011 დასრულდა ... 
 �ელიამ, თავდაცვის **მინისტრ**ის მოადგილემ ანდრო ბარნოვმა, საქართველოში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ და სხვებმა. „ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება წარმოუდგენელია ინფორმაციული უსაფრთხოების გადაწყვეტილებების განვითარების გარეშ ... >>>

1) ბოტნეტი ... ფი, რომელიც ბოტის ად**მინისტრი**რებას და მართვას ძალზე მარტივს ხდის. უნდა აღვნიშნოთ, რომ IRC(Internet Relay Chat) წარმოადგენს პროტოკოლს, რომელიც ჩათისთვის გამოიყენება. აგრეთვე ხშირად გვხვდება ეგრეთწოდებული Web Based - ვებ საიტებზე ბაზირებული ბოტნეტები. ახლა გადავიდეთ კონკრეტულად ბოტნეტზე და განვიხილოთ თუ რა ... >>>

1) საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბერის N228 ბრძანება ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ >>>

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმა არსებობს, თუმცა იგი უფუნქციოა, რადგან არ მუშაობს.
თუ დააკვირდებით შემდეგ სურათს:




დამცავი კოდი (Captcha Code) არ იტვირთება:

შესაბამისად მომხმარებელი დამცავ კოდს ვერასდროს შეიყვანს სწორად.

საკონტაქტო ფორმაში არსებობს კიდევ ერთი ხარვეზი, გაგზავნის ღილაკზე დაჭერით გადავდივართ შემდეგ გვერდზე:

რომელიც არ იტვირთება (ფაილი დაცულია მომხმარებლისგან).

- **ონლაინ სერვისები**

ძალიან მისასალმებელია ვებ-გვერდზე ინსტრუქტიის არსებობა, თუმცა სასურველია ინსტრუქციისა და პორტალის მოხმარების სახელმძღვანელოს ალტერნატიული ვერსიის ვიდეო ფორმატშიც არსებობა, რაც მომხმარებელს გაუადვილებდა ინფორმაციის აღქმას:

ბაში არსებული ინფორმაციული რეესტრები და სერვისები.

რის შესახებ“ კანონის მიხედვით, თქვენ წარმოადგენთ რეესტრის სუბიექტს და პირველად ავსებთ რეესტრის ან სერვის
დ გაიაროთ რეგისტრაცია ( დააჭირეთ შესაბამის ბმულს ზედა მარჯვენა კუთხეში). ყველა პარამეტრის შეყვანის შემდე
დროში მონაცემთა გაცვლის სააგენტო დაადასტურებს თქვენს რეგისტრაციას. ამის შემდეგ, „შესვლა“ ბმულზე დაწკაპუ
იზაცია თქვენი მომხმარებლის სახელითა და პაროლით, რომელსაც შემდგომშიც გამოიყენებთ.

იძლიათ ჩამოტვირთოთ „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონი, „ინფორმაციის მიწოდების
ნმატისა და მიწოდების გზების შესახებ“ ინსტრუქცია და პორტალის მოხმარების სახელმძღვანელო PDF ფორმატში, რომ
ბების შევსებაში.

რეესტრთა რეესტრში თქვენი უწყების მონაცემების რეგისტრაციის შესახებ, გთხოვთ დაუკავშირდეთ მონაცემთა გაცვ
ურველია ელ–ფოსტის მეშვეობით):

ორმაციული სისტემების ანალიტიკოსის თანაშემწე

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდი სურათებს აგენერირებს მოთხოვნის შესაბამისად, ანუ თუ პროგრამულმა კოდმა გასცა ბრძანება, რომ სურათი უნდა იყოს 200 პიქსელი 150 პიქსელზე, სერვერი იწყებს სურათის გენერირებას. პროგრამისტს, შეუძლია პარამეტრები ხელით შეცვალოს, მაგალითად როგორც სურათზეა ნაჩვენები:

ამ შემთხვევაში სერვერს ეგზავნება მოთხოვნა გაზრდილი სურათის სიგანით (27002 პიქსელით სიგანეში) ეს საკმაოდ დიდი ზომაა სურათისთვის, თუმცა სერვერი ამას ვერ ხვდება და იწყებს მის

გენერირებას. შედეგად სერვერი ძალიან იტვირთება. ასეთი მოთხვონა თუ გაეშვა პარალელურ რეჟიმში, რამოდენიმე კომპიუტერიდან არსებობს შესაძლებლობა, რომ სერვერი გაითიშოს.

ჩვენ აქ არ ვწერთ დეტალურად ამ ხარვეზის შესახებ, თუმცა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას ამ ხარვეზის შესახებ;

ასევე ადვილად მისაგნებია ვებ-გვერდის მართვის სისტემა, საჭიროა მისი უკეთესად დამალვა:




- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის RSS-ი არ ფუნქციონირებს;

ასევე მონიტორინგი ჩატარდა ვებ-გვერდზე: http://www.e-government.ge

- **ზოგადი ხარვეზები**

ვებ-გვერდის ძიების მოდული აწყობილია Google-ის საძიებო სისტემაზე. რომელიც საკმაოდ მარტივი და ეფექტურია, თუმცა ბევრად ეფექტურია ძიების მოდული, როდესაც იგი დაწერილია ერთი კონკრეტული ვებ-გვერდისთვის.

Google-ს საძიებო სისტემას სჭირდება გარკვეული პერიოდი, რომ მთელი ინფორმაცია დაინდექსოს თავის ბაზაში. შედეგად, ახალი დამატებული ინფორმაცია Google-ს საძიებო სისტემაში არ გამოჩნდება.

თუმცა სანამ ამ ხარვეზზე ამომწურავად ვისაუბრებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული Google-ის საძიებო სისტემა ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს:




სიახლეების მოდულში იტვირთება სურათები, რომლებიც პროგრამული კოდით არის დაპატარავებული:



ეს სურათები სინამდვილეში არიან გაცილებით დიდი მოცულობისაა, რის შედეგადაც სიახლეების ჩატვირთვის სიჩქარე იკლებს:

ვებ-გვერდზე სოციალური ღილაკების ბმულები არ ფუნქციონირებს:

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის ყველა დირექტორია არ არის დაცული:



ასევე არ არის დაცული დოკუმენტების დირექტორია:

| Name | Last modified | Size | Descri |
|---|---|---|---|
| Parent Directory | | - | |
| 2011 GiTi ESICEE Bra..> | 01-Dec-2011 02:49 | 2.2M | |
| ARMSOFT Presentaion.pdf | 01-Dec-2011 03:00 | 964K | |
| Agenda2011.pdf | 01-Dec-2011 00:58 | 626K | |
| Ascertia - Giti Pres..> | 01-Dec-2011 03:35 | 656K | |
| Data exchange IS Eng..> | 01-Dec-2011 03:47 | 446K | |
| Davit Maisuradze Eng..> | 01-Dec-2011 03:34 | 1.6M | |
| ENGLISH Information ..> | 01-Dec-2011 03:15 | 475K | |
| GITI 2011 - EUD Virg..> | 01-Dec-2011 03:16 | 575K | |
| GITI 2011 MobileID.pdf | 01-Dec-2011 03:37 | 403K | |
| GITI 2011.AzRy.Publi..> | 01-Dec-2011 03:10 | 563K | |
| GITI konference Nove..> | 01-Dec-2011 03:57 | 394K | |
| GITI2011(MOLHSA)ppt.pdf | 01-Dec-2011 03:50 | 1.5M | |
| GITI2011-EMC.pdf | 01-Dec-2011 03:59 | 857K | |
| GITI2011 3.pdf | 01-Dec-2011 04:08 | 1.7M | |
| GITI 2011 - Muehlbau..> | 01-Dec-2011 03:38 | 1.4M | |
| GITI 2011 ID CARD-En..> | 01-Dec-2011 03:42 | 803K | |
| GITI 2011 ID CARD Wh..> | 01-Dec-2011 03:40 | 1.5M | |
| GITI 2011 PKA-En v3.pdf | 01-Dec-2011 03:43 | 551K | |
| GITI Presentation LV..> | 01-Dec-2011 03:56 | 1.1M | |
| Georgia 2011-11-19.pdf | 01-Dec-2011 04:07 | 607K | |
| H3 3 new1.pdf | 01-Dec-2011 03:25 | 829K | |
| HP ITPS Tbilisi GITI..> | 01-Dec-2011 04:03 | 1.0M | |
| ICT in Education.pdf | 01-Dec-2011 03:51 | 1.6M | |
| ISSAC.pdf | 01-Dec-2011 04:10 | 864K | |
| Intellectual Propert..> | 01-Dec-2011 03:19 | 132K | |
| Korea ICT eGov Histo..> | 01-Dec-2011 03:21 | 2.4M | |
| Korea NID Public Ser..> | 01-Dec-2011 03:45 | 1.2M | |
| Napr.pdf | 01-Dec-2011 03:53 | 747K | |
| Oracle iGovernment P..> | 01-Dec-2011 04:00 | 495K | |
| Presentation - Marri..> | 01-Dec-2011 03:13 | 2.8M | |
| Presentation.pdf | 01-Dec-2011 03:17 | 434K | |

შესაძლებელია ვებ-გვერდის ადმინისტრატორმა ატვირთოს ისეთი ფაილი, რომელიც რაღაც პერიოდის მერე უნდა გამოჩნდეს ვებ-გვერდზე, მანამდე კი მისი გამოჩენა არასასურველია. ასეთ სიტუაციაში გახსნილ დირექტორიაში დამალული ფაილის მოძებნა ძალიან მარტივია. ამიტომ ყოველთვის სჯობს, რომ ყველა დირექტორია იყოს დაცული;

ვებ-გვერდის ცვლადები სათანადოდ არ იფილტრება, ლოგიკა რაც დაგეგმილია უსაფრთხოებისთვის არ არის გამართული:



თუ მთავარ მისამართში (URL-ში) მოხვდა არასწორი სიმბოლო მაშინვე გადმოცემული ცვლადი უქმდება ან მას აღარ ენიჭება მნიშვნელობა. თუმცა გამორჩენილია ის ფაქტი, რომ შეიძლება სწორი სიმბოლო გადავცეთ არასწორი მნიშვნელობით, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. შედეგად ვებ-გვერდი აგდებს ხარვეზებს. ეს ხარვეზები მიმანიშნებელია თუ სად ფიქსირდება შეცდომა, გზების ჩვენება კი ამდიდრებს პროგრამისტის შესაძლებლობებს კიბერ შეტევის დროს.

ასევე შეიმჩნევა ხარვეზი სხვა ცვლადების გადაცემის დროსაც:




პრობლემა ისევ იგივეა, არასწორად დაგეგმილი ლოგიკა.

თუმცა აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, ეს განსხვავებულია ხარვეზია, სადაც ჩანს უფრო მეტი ინფორმაცია ვიდრე ეს იყო წინა ხარვეზში. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამისტი კიბერ შეტევის დროს იყენებს უფრო მეტ რესურს და ხარჯავს მეტ დროს ვიდრე ეს ჩვენ მონიტორინგის პროცესში დავხარჯეთ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს ინფორმაცია, მას ძალიან გამოადგეს.

უსაფრთხოების კუთხით კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი დაფიქსირდა. ვებ-გვერდზე არსებობს PHP გაფართოების ფაილი, რომელიც დაუცველ ფორმატში დევს ერთ-ერთ ფოლდერში და მისი ნახვა, ანუ პრორგამული კოდის წაკითხვა შესაძლებელია პირდაპირ ბრაუზერიდანვე:

http://www.e-government.ge/inc/blocks/Thumbs

```
<?php
//etot list doljen po raznomu otobrajatsa na starte(poslednie 3 shtuki) , v arxive (poslednie 9 s pagerom )

$content = '';

$current_page = (isset($_REQUEST['page'])&&is_numeric($_REQUEST['page']))?$_REQUEST['page']:1;
$from = ($current_page-1) * NEWS_PER_PAGE;

$t = new IntegratedTemplate($templates_dir);
if(defined('START'))
        $t->loadTemplatefile('news-start.html', true, true);
elseif(defined('NEWS'))
        $t->loadTemplatefile('news-list.html', true, true);
else
        $t->loadTemplatefile('news-right.html', true, true);//'news-list-right.html'

$q = " FROM ".SQL_DB_PREFIX."elements e left outer join ".SQL_DB_PREFIX."attachedfiles af on e.idx = af.elt_idx
WHERE categoryid = '6' and languageid=1 and TIMESTAMPDIFF(DAY,startdate,NOW())>=0 ";
$limit = (!defined('START'))?" limit 0,3":" limit ".$from.",".NEWS_PER_PAGE;

$res = & kz_query("SELECT e.*,af.path,DATE_FORMAT(startdate, '%d.%m.%Y') start_date ".$q." order by startdate,title ".$limit);

foreach ($res as $k=>$v)
{
        $t->setCurrentBlock('news-list');
        $t->setVariable(array(
                'link' => 'news-'.$v['id'].'.html',
                'title' => $v['title'],
                'img' => '<img src="'.$v['path'].'" />',
                'startdate' => $v['start_date'],
                'description' => $v['description'],
        ));
        $t->parse('news-list');
}
```

თუ ასეთი შემთხვევა აღმოჩნდება, მაგალითად ისეთ ფაილზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამული კოდის დაკავშირებას მონაცემთა ბაზებთან, მაშინ ვებ-გვერდი მთლიანად პროგრამისტის ხელში აღმოჩნდება;

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მონაცემთა გაცვლის საგენტოს ვებ-გვერდი, როგორც კიბერ უსაფრთხოების საკითხების შესწავლით დაინტერესებული საჯარო დაწესებულების ელ.-რესურსი, უსაფრთხოების კუთხით გაცილებით უკეთ უნდა იყოს დაცული და გამართული, ვინაიდან კიბერ-შეტევების მაღალი რისკის ელექტრონულ რესურს განეკუთვნება.